ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 81

ქალაქი ქუთაისი 29 ივლისი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 22 ივლისის 21-ე სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2026 წლის 22 ივლისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 21-ე სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება **„ლაშა გვენეტაძის,** როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი ამ კომისიაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების" მიერ წარდგენის გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ".

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია** შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **იობაშვილი გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
2. **კოსტავა მაგდა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 81
30.07.2026 წ.

3. **ჭიღვარია გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
4. **თამაზაშვილი ალეკო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
5. **კოპალეიშვილი ამირანი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
6. **ნიჟარაძე მარეხი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
7. **ფხაკაძე კობა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
8. **სინაურიძე მამუკა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ მიერ;
9. **გვენეტაძე ლაშა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მიერ;
10. **კუჭავა იოსები,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მიერ;
11. **მებურიშვილი თეკლა,** რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღვარია